GeoIGF

საქართველოს ინტერნეტმმართველობის მესამე ფორუმის ანგარიში

Georgian Internet Governance 3rd Forum Report

2017

1) ფორუმის მოსამზადებელი აქტივობები

2015 წლის დეკემბერში ევროპის საბჭოს ორგანიზებით საქართველოში პირველად ჩატარდა ეროვნული ინტერნეტმმართველობის ფორუმი, 2016 წლის დასაწყისში შეიქმნა ფორუმის ახალი საინიციატივო ჯგუფი, დამტკიცდა ფორუმის წესდება და არჩეულ იქნა საორგანიზაციო კომიტეტი და კოორდინატორი. 2016 წლის სექტემბერში ჩატარდა რიგით მეორე საქართველოს ინტერნეტმმართველობის ფორუმი, რომლის ინფორმაცია ხელმისაწვდომია ამ ბმულზე.

In December 2015, for the first time, Council of Europe organized National Internet Governance Forum in Georgia. In the beginning of 2016 the new forum initative group was formed, . forum charter approved, .organizing committee and a forum coordinator welected. The second Georgian Internet Governance Forum was held in September 2016.Information as available at the link below.

მეორე ფორუმის ანგარიშის პრეზენტაციის შემდეგ დაიწყო რიგით მესამე ფორუმის მომზადება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

After the presentation of the second forum report, the third forum preparation started with the following activities:

დროის პერიოდი/ Timeline	აქტივობა/Activites
2017 წლის თებერვალი February 2017	ფორუმის წევრების შეკრება და საორგანიზაციო კომიტეტის არჩევნები, კოორდინატორის არჩევა/Gathering of the forum members. Elections of the organizing committee and the coordinator

2017 წლის მაისი May 2017	სამოქმედო გეგმის და წინასწარი ბიუჯეტის მომზადება/Preparation of action plan and initial budget
2017 წლის ივნისი June 2017	ბიუჯეტის და სამოქმედო გეგმის დამტკიცება, მოხალისეების კოორდინატორის არჩევა/Approval of the budget and the action plan, volunteers coordinator selection
2017 წლის ივნისი June 2017	გეგმის რეალიზაციის შუალედური ანგარიშის მოსმენა და დამტკიცება/The hearing and confirmation of the interim report
2017 წლის ივლისი July 2017	საორგანიზაციო კომიტეტის შეხვედრები, დღის წესრიგის საბოლოო რედაქციის დამტკიცება/The Organizing Committee meeting, approving the final

	edition of the agenda
2017 წლის აგვისტო August 27	ფორმის წინა სამუშაოების და გეგმის შესრულებს მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა და დამტკიცება/ Accaptance of the preparation works and implementation plan
2017 წლის ნოემბერი November 2017	ანგარიში მომზადება და თარგმნა/Report preparation and translation

2016 წელს ინტერნეტმმართველობის ფორუმში გაერთიანდა 30-მდე ორგანიზაცია და ფიზიკური პირი. 2017 წელს ამ რაოდენობას დაემატა Georgian Internet Exchage - GIX ფიზიკური პირი- ზვიად ქორიძე. 2017 წლის ფორუმის აღმასრულებელ კომიტეტში არჩეულ იქნა 7 წევრი

In 2016 Internet Governance Forum united up to 30 organizations and individuals. In 2017 Georgian Internet Exchange – GIX and Zviad Koridze joined the community. In 2017 7 members expressed their interest to become members of the Executive Committee.

ფორუმის საქმიანობის უმთავრესი პრინციპები წარმოდგენილია მრავალმხრივ შეთანხმებაში, კერძოდ:

The main principles of the forum activities are presented in a multilateral agreement, namely:

- ადამიანის ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების დაცვა ინტერნეტში, დემოკრატიული პროცესების და კანონის უზენაესობის ხელშეწყობა;
- Protection of fundamental human rights in the IInternetInternet, supporting rule of law and democratic processes;
- ინტერნეტმმართველობის განხორციელების ხელშეწყობა ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით;
- Support Internetgovernance by involving all stakeholders;
- საერთაშორისო რეგულაციების და ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ხელშეწყობა;
- Supporting international regulations and countries' legislation harmonization processes;
- მომხმარებლების უფლებების და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობა;
- Supporting customer rights and strengthening their opportunities;
- ინტერნეტის უნივერსალიზაციის ხელშეწყობა;
- Supporting InternetInternet universalization;
- ინტერნეტის უსაფრთხოების და საიმედოობის, მდგრადობის და სანდოობის ხელშეწყობა;
- Supporting Internet safety and reliability, conditions and thrust;
- ინტერნეტმმართველობის დეცენტრალიზებული და სოციალურ პასუხისმგებლობაზე დამყარებული მიდგომების ჩამოყალიბების მხარდაჭერა;
- Supporting establishment of decentralized, socialy responsible approach;
- ინტერნეტ სექტორში ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიების და სერვისების დანერგვის ხელშეწყობა;
- Supporting inovations and technologies in the Internet;
- ღია დაშვების და მომხმარებლისთვის არჩევანის თავისუფლების პრინციპების დანერგვა;
- Implementing open access and freedom of choice principles;
- ინტერნეტში კულტურული და ლინგვისტური მრავალფეროვნების ხელშეწყობა, ლოკალური შინაარსის მოცულობის ზრდის განვითარების ხელშეწყობა;

- Supporting cultural and linguistic diversity in the Internet, increasing development of the local content ;

ფორუმის წესდება ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის საბჭოს, ინტერნეტ საზოგადოების (ISOC) და ინტერნეტმმართველობის ფორუმის სამდივნოს რეკომენდაციებს და საუკეთესო პრაქტიკას. ზემოაღნიშნული გულისხმობს ფორუმის დღის წესრიგის შემუშავების მრავალმხრივი ჩართულობის მოდელს, ასევე ფორუმის ორგანიზებას მინიმალური დანახარჯებით, მაქსიმალურ გამჭვირვალობით და მხარეთა ძლიერი ჩართულობით. ინტერნეტმმართველობის ფორუმს საფუძვლად უდევს ყველა დაინტერესებული მხარის თანამშრომლობა, სადაც ჩართულია 5 დაინტერესებული ჯგუფი: მთავრობა, კერძო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება, სამეცნიერო – საგანმანათლებლო და ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტები და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ფორუმის ყველა მონაწილე თანაბარი დონის პარტნიორად მოიაზრება. დეტალური ინფორმაცია გთხოვთ იხილოთ აქ.

ფორუმის აღმასრულებელი კომიტეტის შეკრება ჩატარდა 2017 წლის მაისში, სადაც შეირჩა ფორუმის აღმასრულებელი კომიტეტი, მასპინძელი ორგანიზაციები და კოორდინატორი. შეხვედრაზე ასევე დამტკიცდა ღონისძიების თარიღი - 2017 წლის 11-12 სექტემბერი.

ფორუმის მასპინძლებად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და ISOC-ის ადგილობრივი წარმომადგენლობა დასახელდა.

ფორუმის მხარდაჭერის სურვილი გამოთქვეს ევროპის საბჭოს (CoE), ISOC-ის ევროპული ოფისის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინტერნეტმმართველობის ფორუმის მხარდამჭერი ასოციაცია (Internet Governance Forum Support Association-(IGFSA), ასევე The Réseaux IP Européens Network Coordination Centre is the Regional Internet Registry for Europe (RIPE NCC)-ის და The Internet Corporation for Assigned Names and Numbers (ICANN)-ის წარმომადგენლებმა, ასევე სსიპ "საქართველოს ტექნოლოგიების და ინოვაციების სააგენტომ" და საქართველოს კერძო კომპანია - შპს „სისტემნეტმა".

2. ფორუმის ორგანიზების საკვანძო საკითხები
Forums' Key Organizational Issues

საქართველოს ინტერნეტმმართველობის ფორუმი აერთიანებს საქართველოს ინტერნეტმმართველობის საკითხებით დაინტერესებულ პირებს და მისი წევრობა თავისუფალია.

Georgian Internet Governance Forum unites all entities, interested in the Internet governance issues and membership is free of any charges.

საქართველოს ინტერნეტმმართველობის ფორუმი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საჯარო კონსულტაციების პროცესს, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას ადგილობრივი პრობლემების იდენტიფიცირებასა და განხილვაში, უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის უშუალო ან დისტანციური ჩართულობა ფორუმის ან სხვა მსგავსი ღონისძიების მიმდინარეობისას და ხელი შეუწყოს სახელმწიფო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და ტექნიკური საზოგადოების ჩართულობას.

Georgian Internet governance forum aims to support process of public consultations, identification of local problems, involvement of all stakeholders

, both locally or remotely. It ensures involvement of government, civil society, private, academic and engineering communities.

ინტერნეტმმართველობის ფორუმში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, ფორუმის ორგანოზებში ან/და ფორუმში გაწევრიანება ხორციელდება სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე და არ წარმოშობს რაიმე ტიპის ფინანსურ ან სხვა სახის ვალდებულებებს. ამ საზოგადოების წევრობა ღიაა და მიმართვის საფუძველზე, ყველა დაინტერესებული პირი ხდება მისი წევრი მიმართვის წარდგენისთანავე.

Participation in IGF is voluntary, registration is possible without providing any public certificate and doesn't create finaincal or any other liabilitiy . The membership of society is open, and any interested entity could instantly become a member.

„ინტერნეტმმართველობის საზოგადოებამ" ამ წესდებით დადგენილი წესით, საორგანიზაციო საკითხების მოსაწესრიგებლად, ერთი წლის ვადით, აირჩია საქართველოს „ინტერნეტმმართველობის ფორუმის კომიტეტი". დადგენილი პარიტეტული ქვოტების მიხედვით, კერძოდ კომიტეტში დაინტერესებული პირები ნაწილდება შემდეგ 5 (ხუთ) ჯგუფად: სამთავრობო, კომერციული, არასამთავრობო, აკადემიური (ასევე ტექნიკური დარგის ექსპერტები, ინფორმაციული საზოგადოების წარმომადგენლები) და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

By following the bylowas Internet Governance Society appointed Internet Governance Forum Committee. The Commettee is elected for one year and is responcible for takeing care of the organizational issues. According to the established quotas, committee members are divided into the following groups: government, commercial, non-governmental, academic (also experts of technical field, representatives of information society) and representatives of international organizations.

ბ) ფორუმის გახსნაზე და დახურვაზე სპიკერების წარმოთქმული სიტყვები
Speakers' Opening and Closing Remarks

მთავარი ღონისძიება ჩატარდა 12 სექტემბერს, ხოლო 11 სექტემბერი დაეთმო შემდეგ საკითხებს:

The main event took place on September 12, September 11 was dedicated to the following topics:

- ინტერნეტმმართველობა და მრავალმხრივი ჩართულობის მოდელი/ Internet Governance and Multi-Stakeholder Model – How it's works!;
- კიბერ უსაფრთხოების ტრენინგი ადგილობრივი ინტერნეტ საზოგადოებისთვის/ Cyber security training for the local community;
- საავტორო უფლებების დაცვა ინტერნეტში - საქართველოს გამოწვევები/ Protection of copyright in the Intrnet space - Georgian challenges;
- მონაცემთა გაცვლის სააგენტოს და ეროვნული CERT-ის ტრენინგი / Data Exchange Agency and National CERT training;
- თანამშრომლობა და გამოწვევები ადგილობრივი ბიზნეს-ერთეულებისთვის/Cooperation and challenges for the local business entities

11 სექტემბერს თავიდან პარალელურ რეჟიმში მოხდა ინტერნეტმმართველობის ორი საკითხის განხილვა: ინტერნეტმმართველობა და მრავალმხრივი ჩართულობის მოდელი და

ასევე ICANN-ის მხარდაჭერით კიბერ უსაფრთხოების ტრენინგი ადგილობრივი ინტერნეტ საზოგადოებისთვის.

September 11th started with two parallel sessions of: Internet Governance and Multistakeholder Model and Cyber security training, by the support of the ICANN, for the local Internet community.

პროფესორმა როტერტმა, რომელიც ევროპის საბჭოს მხარდაჭერით აქტიურად თანამშრომლობს ქართულ მხარესთან, გააკეთა ვრცელი მოხსენება ინტერნეტმმართველობის სამართლებრივი და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ. მან ისაუბრა გაერთიანებული ერების და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების როლზე, ასევე მათ მიერ მიღებულ რეკომენდაციებზე. პროფესორი როტერტი შეეხო სხვადსხვა წარმატებულ პრაქტიკას და დეტალურად განიხილა მრავალმხრივი ჩართულობის და ინტერნეტმმართველობის არსი, დანიშნულება, მისი მნიშვნელობა ინტერნტეტის მართვის პროცესების გაჯანსაღებასა და გაუმჯობესებისათვის.

Prof. Michael Rotert is the CEO of the Association of the Internet Industry (ECO) and the Honorary professor for computer science at Karlsruhe University of Applied Sciences - Internet Governance and Multi-Stakeholder Model – How it's works!

Professor Rotert, with the support of the Council of Europe, actively cooperates with the Georgian Internet community. He made extensive comments on the legal aspects of Internet governance. He spoke about the role of the United Nations, as well as, other international organization's involvement, recommendations and best practices developed by theseorganisations. Professor Rotert also discussed the essence and purpose of the multilateral engagement and Internet governance in-detail, as well as its importance in improving Internet management processes.

ჯეფრი ბედსერმა (iThreat Cyber Group Inc.-ის დამაარსებელი და აღმასრულებელი დირექტორი, ICANN SSAC-ის წევრი)

ადგილობრივი ინტერნეტ საზოგადოებისათვის კიბერუსაფრთხოების ტრეინინგი ჩაატარა. სპიკერი დეტალურად შეეხო DNS სერვერებზე თავდასხმის საკითხებს. ჯეფრი ბედსერმა პრეზენტაცია კიბერ სამყაროს ზრდისა და განვითარების ზოგადი მიმოხილვით დაიწყო, ასევე ამ განვითარების შედეგად წარმოქმნილი დაბრკოლებებზე საუბრით, რომელებიც კიბერ გამოძიებას უშლის ხელს. ბატონმა ბედსერმა 2007 წლის შემდეგ დომენური სახელების და ინტერნეტის მზარდი მოთხოვნა მიმოიხილა. ასევე ახსნა ურთიერთდამოკიდებულება დომენური სახელების, ზედა დონის, ეროვნული და ქვე დომენების სისტემებს შორის და იურისდიქცია, რომლის ქვეშაც ისინი ექცევიან კიბერ კრიმინალის შემთხვევაში.

პრეზენტაციის დროს მან განიხილა შემთხვევა როცა დომენები შეიძლება დაკავშირებული იყოს ერთ IP მისამართთან და რომელიმე ერთი ქვეყანასთან, მაგრამ მოხდეს მისი გადამისამართება მსოფლიოს მეორე კუთხეში, შესაბამისად შესაძლებელია იურისდიქციის პრობლემის შექმნა. ბატონმა ბედსერმა ახსნა კიბერ გამოძიების მექანიზმების შესაძლებლობები და დაბრკოლებები დომენური სახელების ინფრასტრუქტურაში. ამის უკეთესად ასახსნელად მან ამერიკაში ჩადენილი კიბერ დანაშაულის ქსელის მაგალითი მოიყვანა, რომლის დროსაც ერთი IP მისამართით რამოდენიმე ასეული სარეაბილიტაციო ცენტრის საიტი იყო დარეგისტრირებული და მონაცემთა გასხვისებით Lead Generation Fraud-ს ეწეოდნენ. მისივე განცხადებით ის რომ კიბერ დანაშაულების სივრცე გაბნეულია რამდენიმე ქვეყანას შორის, დაბრკოლებას უქმნის გამოძიებას. წარმატებული გამოძიება ზოგჯერ მოითხოვს დამნაშავის თვალით შევხედოთ სიტუაციას.

Jeffrey Bedser (Founder and CEO at iThreat Cyber Group Inc. ICANN SSAC member) discussed the skill and growth of the Internet and cyber world in general, and challenges it brings out for cyber security and investigation. Mr. Bedser went through the timeline of exponential Internet development since 2007 and its relation to domain names. He also explained the role and relations of Domain Name System (DSN), Top Domain System, National Domain System, as well as Sub Domain Systems and the jurisdiction that particular web page falls under in case of cyber crime. The presentation also explained domains, which are tied to a particular IP address or e-mail, that could be changed within minutes and change the jurisdiction. He explained the benefits and shortcomings of the cyber investigation tools such as domain infrastructure. Mr. Bedser has also introduced the case study of investigating rehabilitation facility fraud in the United States, where one IP address possessed hundreds of domain names conducting a Lead Generation Fraud. The spread nature of the cyber crime undermines the jurisdiction and requires the understanding the mindset of people who commit cyber crime or cyber fraud.

შესვენების შემდეგ ჩატარდა ორი პარალელური სესია. პირველი შეეხო საავტორო უფლებების ონლაინ დაცვას და ამ საკითხის მოგვარებითვის შემოთავაზებულ ახალ ქართულ კანონპროექტს, რომელიც წარმოადგინა **ირაკლი კასრაძემ (საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის-საქპატენტის, სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსი)**.

After the break, two parallel sessions were held. First session was presented by **Irakli Kasradze** (Head, Department of Trademarks, Geographical Indications and Design) and discussed **Copyright Protection Online - Georgian new draft law on CR online protection and liabilities of intermediaries The National Intellectual Property Centre "Sakpatenti**".

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა მოამზადა პრეზენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, რომელიც შეეხება ე.წ. შუამავალი და ინტერნეტ სერვის პროვაიდერების

პასუხისმგებლობებს, ვალდებულებებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის კუთხით ინტენრეტ სივრცეში.

The representative of The National Intellectual Property Center prepared a presentation about the planed changes in the Georgian legislation that will deal with the responsibilities and obligations of so-called intermediaries and Internet service providers, defending copyright and related issues in the Internet.

ამავე სესიაზე წარმოდგენილი იყო უკრაინის გამოცდილება. **ულიანა ფელშჩუკი (უკრაინის ტელე და რადიომაუწყებელთა ეროვნული საბჭოს წევრი)**

Ukrainian experience was also presented in the same session, where **Uliana Felshchuk (a member of the National Council of Television and Radio Broadcasting of Ukraine)** discussed Ukrainian way of Copyright Protection Online.

ულიანა ფელშჩუკი შეეხო უკრაინის გამოცდილებას და იმ რეგულაციებს, რომლებიც დაინერგა უკრაინაში ინტერნეტ კონტენტის შეფასების კუთხით. ქალბატონმა ფელშჩუკმა დეტალურად მიმოიხილა ის სქემა, რომელიც მოიცავს საავტორო უფლებების დაცვის შემთხვევაში მტკიცების ტვირთის, მტკიცებულებების მოპოვების, მოთხოვნის დადასტურების ვალდებულების და პასუხისმგებლობის განაწილების საკითხებს. ბოლოს მოწვეულმა სტუმარმა უპასუხა აუდიტორიის კითხვებს.

Ulyana Felshchuk examined Ukraine's experience in the given matter. She discussed the regulations, adopted by Ukraine, for the Internet content evaluation. Ms. Felshchuk reviewed details of the issue such as obtaining the burden of proof, evidence, submission of the claim and the distribution of the Responsibility. Later on, invited guest replied to the questions from the audience.

პარალელურ რეჟიმში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტმ ჩაატარა ტრენინგ თემაზე: **გამოწვევები და ეროვნული CERT თანამშრომლობა ადგილობრივ ბიზნეს სექტორთან.**

The second parallel session was lead by the representatives of the **Data Exchange Agency.** The main topic of the training was the **Cooperation with national CERT and challenges of the local business entities.**

ქალბატონმა **ნატალია გოდერძიშვილმა (მონაცემთა გაცვლის სააგენტო, იურიდიულ დეპარტამენტის უფროსი)** პრეზენტაცია დაიწყო საქართველოს მიერ კიბერუსაფრთხოების, პერსონალური მონაცემების დაცვასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის ბალანსის დამყარების გზებზე საუბრით. ქ-ნი გოდერძიშვილის სიტყვებით თუკი ქვეყანა კიბერუსაფრთხოებაზე ისევე კონცენტრირდება, როგორც

სახელმწიფო უსაფრთხოებაზე, მაშინ იკარგება ბალანსი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ კიბერუსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილება. ქ-მა ნატამ ასევე ისაუბრა მონაცემთა გაცვლის სააგენტოში არსებულ ჯგუფზე, რომელიც საზოგადოებას პერსონალური მონაცემების დაცვაში ეხმარება. მის მოხსენიებაში მთავარ თეზისად მოიაზრება ის, რომ კიბერუსაფრთხოება და პერსონალური ინფორმაციის დაცვა ერთმანეთის განვითარებას უწყობს ხელს.

First speaker, **Natalia Goderdzishvili (Data Exchange Agency, Head of Legal Division, LEPL. Data Exchange Agency Ministry of Justice of Georgia)** started her presentation by discussing the balance between cybersecurity, private data protection and the right of private life. According to her, if the state concentrates on cybersecurity in a same manner as it concentrates on national security, we might lose the balance. Therefore, it is important to draw our attention to cybersecurity. Data Exchange Agency has a team dedicated to personal data protection. One of the main points of the presentation was relations between personal data and cybersecurity, which according to her, do not contradict each other.

დავით ქვათაძემ (CERT.GOV.GE LEPL, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მენეჯერი) გააკეთა 2008 წლის კიბერ ომის ანალიზი. მისი განცხადებით, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს აქვს უფასო პენტესტი. მან აღნიშნა DDOS ტიპის და ინფორმაციული შეტევის საფრთხეები და მასთან გამკლავების სხვადასხვა ხერხი. ასევე ისაუბრა იმ უფასო სახელმწიფო სერვისების შესახებ, რომელიც აუცილებელია უსაფრთხოებისათვის. ასეთი სერვისების მაგალითებია „შავი სიები“, რომლებიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა ფორმატში.

Davit Kvatadze (Manager of CERT.GOV.GE, LEPL DATA EXCHANGE AGENCY) analyzed the 2008 cyber war. He interoduced Data Exchange Agency penetration test (PENTEST) service, which determines the penetration level during attack. Mr. Kvatadze also mentioned DDOS, and other dangers, and the ways we could avoid or counter those attacks. Data Exchange Agency has list of free and commercial services, governments and corporations can use. The example of such service is blacklist which is accessible in different formats.

დავით ბულავრიშვილმა (ინფოსეკ მენეჯერი, ინფოსეკ ჯგუფის სერვისების საზოგადოებისა და კერძო სექტორისათვის) მიმოიხილა ინფორმაციის ზოგადი მნიშვნელობა და როლი თანამედროვე სამყაროს განვითარების პროცესში და მისი შესაბამისი დაცვა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ მას რაიმე ფასეულობა და ზოგადი ინფორმაციული ციკლი გააჩნია. მან ახსნა

უსაფრთხოების პრინციპები, რომელთა მიღწევაც შესაძლებელია სხვადასხვა პროცესის კონტროლით, ასევე მონიტორინგის სხვადასხვა

მექანიზმით. პრეზენტაციის ბოლოს დავით ბულავრიშვილმა მართვის სისტემები მიმოიხილა.

Davait Bulavrishvili (InfoSec Manager, services InfoSec can provide public and private sector) started his presentation by reviewing modern day information and appropriate ways of protecting it alos and its role in development of modern society. According to Mr. Bulavrishvili, safety is rather a prosses than the state, thus it could be only achieved through taking appropriate measures throughout the entire process by implementing various monitoring mechanisms. Those actions will not only protect us from attack, but also will play a considerable part in its prevention.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციის მიერ მოხდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა.

Signing ceremony of Memorandum of Understanding between LEPL. Data Exchange Agency and Small & Medium Telecom operators Association of Georgia.



12 სექტემბერი - მთავარი ღონისძიება

ფორუმის გახსნა - მისასალმებელი სიტყვები

მომხსენებლები/Speakers:

გიორგი ჩერქეზიშვილმა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მინისტრის მოადგილე) ფორუმი გახსნა და მადლობა გადაუხადა მხარდამჭერ ორგანიზაციებს, ამასთან აღნიშნა, რომ GeoIGF ღონისძიება, რომელიც 2015 წლიდან ტარდება საქართველოში, ყოველ წელს განვითარების ახალ საფეხურზე, ღონისძიება ინტერნეტ მმართველობის სფეროში რეგიონული მასშტაბის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა, ფორუმი წარმოადგენს მნიშვნელოვან მრავალმხრივ პლატფორმას წლის განმავლობაში, ინტერნეტ მმართველობის განვითარების მიმართულებით საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გასაზიარებლად, მნიშვნელოვანი საკითხებისა და პროექტების განსახილველად. მთელს მსოფლიოში, ისე საქართველოში, ინტერნეტის მოხმარება და ინტერნეტის გავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაზე და ეკონომიკაზე დღითიდღე იზრდება, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტსაც სწორედ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სფეროს მდგრადი განვითარება წარმოადგენს.

George Cherkezishvili (Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, Deputy minister) gave a welcoming speech, and thanked organizations which supported the event.

რაულ ეჩებერიამ (ISOC, ვიცე პრეზიდენტი, გლობალური ჩართულობის მიმართულებით) აღნიშნა პროექტი, რომელიც ფორუმამდე რამოდენიმე დღით ადრე საქართველოს ერთ-ერთ მაღალმთიან რეგიონში, თუშეთში დაიწყო. მან ხაზი გაუსვა საზოგადოებისათვის ინტერნეტის ხელმისაწვდომობის აუცილებლობას, რადგან ინტერნეტი კაცობრიობის აქტივობის ნაწილია და დღევანდელ სამყაროში მასთან წვდომის არარსებობა ნიშნავს აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობის არ მიღებას. ინტერნეტ კავშირი , არა მხოლოდ აკავშირებს ადამიანების,

არამედ იგი ასევე საშუალებას გვაძლევს გავაუმჯობესოთ საგანმანათლებლო სისტემა, ჯანდაცვა და ყველა დანარჩენი მომსახურეობა რაც კი ინტერნეტზეა დამოკიდებული. ბატონმა რაულ ეჩებერიამ საუბრის დასასრულს ხაზი გაუსვა აღნიშნული სახის დისკუსიებში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მნიშვნელობას.

Raúl Echeberría (ISOC, Vice President, Global Engagement) started his presentation by mentioning the Tusheti project which was launched few days prior the forum. Tusheti is the mountainous region of Georgia, which was introduced in later sessions. He Mentioned it is urgent to connect the rest of population, who does not have an access to the Internet since it is a part of every human's daily activity. Nowadays, not being connected, means not being involved in these activities, beveryone should have an ability to access the Internet and get services such as education, access the information and etc. By discussing connectivity, we do not only imply the connection with other people, but also improvement of the education system, healthcare services and everything related to the Internet. Mr. Echeberría has pointed out the importance of multistakeholder discussion model and the meetings at the local level.

ქალბატონმა სანდრა ჰოფერიხტერმა (EuroDIG-ის, გენერალური მდივანი) მომავალ 2018 წელს, თბილისში რიგით მე-11 EuroDIG-ის ჩატარების ფაქტს გაუსვა ხაზი. საუბრის დროს აღნიშნა, რომ ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში ინტერნეტთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე სადისკუსიო თემები შეიცვალა, დღემდე ადამიანის უფლებები და კიბერ უსაფრთხოება სხვა ასპექტში განიხილებოდა. დაინტერესებულ მხარეებს შორის უკეთესი ურთიერთგაგებისათვის დიალოგის აუცილებლობაზეც ისაუბრა. მისი განცხადებით, ციფრული ეკონომიკის განვითარებასთან ერთად აუცილებელი ხდება ხელოვნური ინტელექტის და IT საკითხების დეტალური განხილვა. დღესდღეობით აუცილებელია ადამიანმა იფიქროს იმაზე თუ როგორ განსაზღვროს ადამიანის უფლებები ციფრულ სამყაროში, რადგან ონლაინ სივრცის გარეთ არსებული რეგულაციები უნდა იყოს დაცული ონლაინ სივრცეშიც.

Mrs. Sandra Hoferichter (EuroDIG, Secretary General) has noticed that the 11th EuroDIG will be held in Tbilisi, Georgia in 2018. She mentioned that, last years' discussion-topics were mainly concerned with human rights and cyber security issues, which are not new dimensions, but could be discussed in different aspects. She talked about the need for dialogue and better understanding. With the digital economy development there is a need to discuss artificial intelligence, and other aspects of IT. According to Mrs. Hoferichter, today people should think how to interpret human rights in a digitized world, what how does the off-line apply within the online space.

აქსელ პავლიკიმა (RIPE NCC-ის მმართველი დირექტორი) მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა. ბატონმა აქსელმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში ინტერნეტმმართველობის საკითხებისადმი ინტერესის განვითარების ფაქტს გაუსვა ხაზი. მისი განცხადებით ინტერნეტმმართველობა საქართველოში მოწოდების სიმაღლეზეა და პერსპექტიულ დაპირებებს იძლევა.

Axel Pawlic (RIPE NCC Managing Director) gave a welcome speech where he reviewed the progress of development of IG for last year. He mentioned that Internet Governance in Georgia took off very well and gives a great deal of promises in the future.

ალექსანდრა კულიკოვამ (ICANN, გლობალური ჩართულობის მიმართულების მენეჯერი აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში) მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა. მან საქართველოს მიერ გავლილ შთამბეჭდავ გზაზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა კიბერ უსაფრთხოების ინდექსის მიხედვით მოპოვებულ მერვე ადგილს, რომლის მიხედვითაც რეგიონში ჩვენი ქვეყანა 10 ქვეყანას შორის ლიდერის პოზიციას იკავებს.

Aleksandra Kulikova (ICANN Head of Global Stakeholder Engagement for Eastern Europe and Central Asia) gave an introductory speech, in which she discussed Georgia's impressive path in developing its own internet governance model. She pointed out as well that the country occupies 8th place in the ITU Global Cyber Security index (2017) of 10 countries most committed to cybersecurity matters and ranks first among other countries in the region.

მერაბ ქათამაძემ (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრი) საქართველოს კონსტიტუციაში შესატან იმ ცვლილებებზე ისაუბრა, რომელიც უახლოეს მომავალში იქნება დამტკიცებული. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით ადამიანებს ინტერნეტთან თავისუფალი წვდომის უფლება ექნებათ. ეს უფლება ამიერიდან კონსტიტუციით იქნება დამტკიცებული და გამყარებული. მან ასევე ხაზი გაუსვა 21-ე საუკუნეში ინტერნეტის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის საჭიროებას.

Mr. Merab Katamadze (Commissioner, Georgian National Communications Commission) underlined the amendments to the Constitution of Georgia to be approved in near future. According to these amendments each person in

Georgia will have the right to access the internet. Mr. Katamadze also stressed that the right to access the Internet is one of the fundamental human rights in 21st century.

კრისტიან ურსემ (ევროსაბჭო საქართველო (TBC), სათაო ოფისი) მისასალმებელ სიტყვაში გაიხსენა 2015 წელს გამართული პირველი ფორუმი და ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში მომხდარ თვალშისაცემ პროგრესს გაუსვა ხაზი.

In his introductory speech **Cristian Urse (CoE Georgia (TBC), Head of Office)** recalled the first forum, which was held in 2015 and discussed progress of recent years.

ჩენგეტაი მასანგომ (ინტერნეტმმართველობის ფორუმის გაერთიანებული ერების სამდივნო, IGF პროგრამებისა და ტექნოლოგიების მენეჯერი) თავის პრეზენტაცია სამადლობელო სიტყვით დაიწყო. მან ისაუბრა IGF-ის 12 წლიან ისტორიაზე და მის ჩამოყალიბების მიზნებზე. მასანგო GeoIGF-ს დადებითად აფასებს იმ კუთხით, რომ ფორუმი ეხება თანამედროვე ინტერნეტში ისეთ აქტუალურ და მწვავე საკითხებს როგორებიცაა: მომავალის ინტერნეტი, მონაცემთა უსაფრთხოება, „fake news'" და ა.შ.

Mr. Shengetai Masango (United Nations Secretariat for the Internet Governance Forum (online), IGF Program and Technology Manager) started his presentation by expressing gratitude. He spoke about the IGF's 12-year history and the goals of its formation. Masango positively appreciates the fact that GeoIGF is related to the most pressing and sharp issues in the modern Internet: future Internet, data security, „fake news" and more.

მომავლის ინტერნეტი - ხვალინდელი დღე და ახალი გამოწვევები

„Future Internet – What will tomorrow's Internet look like?" **ფრედერიკ დონკის (ინტერნეტ საზოგადოება (ISOC), ევროპის რეგიონალური ბიუროს დირექტორი)** განცხადებით რთულია პროგნოზის გაკეთება, რადგან 5 წლის წინ შეუძლებელი იყო წარმოგვედგინა, რომ მთელ დღეს სოციალურ ქსელ Facebook-ზე გავატარებდით. მან ISOC-ის მიერ განხორციელებულ კვლევას გაუსვა ხაზი, რომლის ფარგლებშიც მსოფლიოს მასშტაბით 3000-ზე მეტი ინტერნეტ საზოგადოების წევრი და ექსპერტი გამოიკითხა. გამოკითხვების მიხედვით განისაზღვრა 3 „გავლენის სფერო": მედია და საზოგადოება, „ციფრული დაყოფა", პირადი თავისუფლება და უფლებები. ასევე განისაზღვრა ის 6 „მამოძრავებელი ძალა", რომელიც გავლენას მოახდენს ინტერნეტის მომავალზე, ესენია: ინტერნეტ ეკონომიკა, სახელმწიფოს როლი, ინტერნეტი და ფიზიკური სამყარო, ხელოვნური ინტელექტი, კიბერ საფრთხეები და ქსელები, სტანდარტები და თავსებადობა. თითოეული მამოძრავებელი ძალის შედეგები მჭიდროდ უკავშირდება სხვა მამოძრავებელ ძალებს. განსაზღვრული იყო ინტერნეტის ტექნიკური დეფინიცია, რომლის მიხედვითაც ინტერნეტი მომხმარებლის პერსპექტივიდან არის ინფორმაციების გაცვლის პლატფორმა კონტენტის გამოყენებით, მომდევნო ტექნიკური დეფინიციის მიხედვით ინტერნეტ დნმ არის ღია, გაზიარებადი და არვის შეუძლია მისი ფლობა. ინტერნეტის მომავლის განსაზღვრის დროს მან აღნიშნა, რომ მომხმარებელი იქნება სრულიად დეცენტრალიზებული, შემდეგი პროგნოზი არის ღიაობა, ხოლო მესამე პროგნოზი არის ინოვაცია, რომელიც არ საჭიროებს ნებართვას. პრეზენტაციის შეჯამებისას ბატონმა დონკმა აღნიშნა ადამიანური ღირებულებების როლი ტექნიკური განვითარებაში. აღნიშნა რომ უსაფრთხოების შესაძლებლობები მატერიალიზებული უნდა იყოს, AI და საგნების ინტერნეტი (IoT) ფუნდამენტალურად შეცვლის ონლაინ ყოფნის განმარტებას, ამიტომ საჭიროა მომხმარებელმა აკონტროლონ საკუთარი

მონაცემები და რაც შეეხება მთავრობას, იგი სამომავლო გამოწვევებისთვის მზად უნდა იყოს.

(Frédéric Donck - Internet Society (ISOC), Regional Bureau Director for Europe) noticed that it is difficult to make predictions, especially the future, 5 years ago no one would have predict that we might spend almost all day ending up on facebook. Mr. Donck noticed about the survey which was held by ISOC interviewing more than 3000 members and experts across the globe and defined the 3 "Impact areas": Media and Society, the Digital Divides and Personal Freedom and Rights also there was defined six "Drivers"- key forces that will have a profound impact on the future of the Internet in the years to come: The Internet Economy, The Role of Government, the Internet and The Physical World, Artificial Intelligence, Cyber Threats and Networks, Standards and Interoperability. In all cases, the implications of one Driver are

inextricably tied to another. There was presented the technical definition of the Internet which describes that Internet from the users' expectations is to all that people will use to exchange the packets of data and the respect for the destination to source for the content, the next technical definition sounds that Internet DNA is open, it is shared and nobody owns Internet, and it based on collaborative and transparence process, this is what we need to keep in mind when we talk what is the Internet. Defining the future of the Internet he said that in the future the user will be decentralized, second prediction is openness and the third is permissionless innovation. As a conclusion of the presentation Mr. Donck sum up that human values must drive technical development, security divide will materialize, AI and IoT will fundamentally change what it means to be online, users need to remain in control of their data and finally governments are ill equipped to respond to future challenges.

პირველი სესია: ინტერნეტის ხელმისაწვდომობის საკითხები საქართველოში

First Session: Connect next Billion - Broadband Access challenges in Georgia

მოდერატორი: მაარიტ პალოვირტამ (ISOC უფროსი მენეჯერი, ევროპის რეგიონალური ურთიერთობები) აღნიშნა, რომ **"Connect the Next Billion"** ბოლო და ამჟამინდელი ფორუმის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ასევე დასძინა, რომ ITU კვლევის მიხედვით, რომელიც ინტერნეტთან წვდომის შესახებ ყოველწლიურ შედეგებს აქვეყნებს, 2016 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 15% აქვს ინტერნეტთან წვდომა, სომხეთის მოსახლეობის 16% და აზერბაიჯანის მოსახლეობის 17,8%. დღესდღეობით საქართველოს მთავრობა ელექტრონული

მომსახურეობების შექმნას ცდილობს. მაარიტ პალოვირტამ ასევე ხაზი გაუსვა ინტერნეტ საზოგადოების ISOC-ის მიერ დაფინანსებულ და თუშეთში განხორციელებულ საპილოტე პროგრამას, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ისეთ ადგილობრივ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: საქართველოს ინტერნეტ საზოგადოება, მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაცია, ფრინეტი, ინტერნეტ განვითარების ინსტიტუტი და თუშეთის განვითარების ფონდი.

Moderator: Maarit Palovirta (ISOC Senior Manager, Regional Affairs Europe) mentioned that "Connecting to the n=Next Billion" is key issue which was is being discussed during the last and present forum. Itwas noticed that according to ITU. which publishes numbers about Internet connectivity of every country every year, Internet penetration in Georgia in 2016 is 15%. which means that 15% of the citizens are connected to the Internet, there is the same situation in Armenia - 16%, in Azerbaijan is 17,8%. Nowadays Georgian government is putting services online and e-commerce, e-services becoming basic things. Mrs Palovita also underlined the pilot project to connect remote region which had been launched few days before the forum and was funded by ISOC . This project has partnership with five local organizations: ISOC Georgian Chapter, Small and Medium Telecom Operators Association, FreeNet, The Internet Development Initiative and Tusheti Development Fund.

ეკა ყუბუსიძემ (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის საინფორმაციო, და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი) ხაზი გაუსვა ინტერნეტმმართველობის საკითხით დაინტერესებულთა რიცხვის ზრდას და გლობალური EuroDIG-ის ჩატარებას საქართველოში, რომელიც მომავალ წელს ქალაქ თბილისში გაიმართება. ასევე ისაუბრა მომავალი კანონპროექტის შესახებ, რომელიც ელექტრონულ კომერციაში შუამავლების უფლებებს შეეხება. ქალბატონმა ეკა ყუბუსიძემ ყურადღება გაამახვილა უსინათლოებისათვის ინტერნეტთან წვდომის ცენტრზე, რომელიც 2016 წელს თბილისში კორეის მთავრობის დახმარებით გაიხსნა. საუბრის დროს აღინიშნა იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სწორი პოლიტიკა, რომლის წყალობითაც ITU-ს კვლევის მიხედვით 2016 წელს საქართველომ კიბერ უსაფრთხოების სფეროში მე-8 ადგილზე გადაინაცვლა, რაც ჩვენს ქვეყანაში ქსელის დაცულობაზე მოწმობს და ევროპის მოწინავე ქვეყნებთან ერთად საპატიო ადგილს გვაკავებინებს.

Ms. Eka Kubusidze (Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, head of

Communications, Information and Modern Technologies Department

) underline the increase number of people who are interested in issues connected to the Internet governance and the important fact that the 11th EuroDIG will held in Tbilisi, Georgia in 2018. She also noted the future bill about the rights of mediators in e-commerce. Ms. Eka also mentioned Tbilisi Internet Access Center for visually impaired and blind individuls which was opened in 2016 through support from Korean Government. She highlighted the role of Exchange Data Agency in implementing right policy thanks to which Georgia ranks 8th in Global cybersecurity index.

ლევან სულაკაურმა (თუშეთის განვითარების ფონდი, კომიტეტის წევრი) ისაუბრა ფონდის მიერ ინტერნეტიზაციის კუთხით განხორციელებულ საქმიანობაზე. დასძინა, რომ 2016 წლის სექტემბერში ფონდმა განაცხადაინტერნეტიზაციის პროექტის დაწყების შესახება და ხელი მოაწერა თანამშრომლობის მემორანდუმს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციასთან. ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ მოცემული პროექტის განხორციელებისათვის ადგილობრივი მოსახლეობა გადამზადდა და ინფრასტრუქტურის დამონტაჟება მათი დახმარებით ხდება. მან ხაზი გაუსვა მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის მნიშვნელობას განათლების დონის ამაღლებაში ზოგადად ქვეყანაში, განსაკუთრებით კი მაღალმთიან რეგიონებში.

Levan Sulakauri (Tusheti Development Fund, board member) talked about Internetization process activities which were carried out by Tusheti Development Fund. Mentioned that in September 2016 Fund launched Internetization project and signed Memorandum of Cooperation with Small and Medium Telecom Operators Association of Georgia. He noted that

local citizens were trained for implementation process of the project and now the installation of infrastructure is carried out with their help. Highlighted the importance of high-speed Internet in the education sphere and especially for high mountain regions.

რატი კოჭლამაზაშვილმა („თუშეთის განვითარების ფონდი“, ხელმძღვანელი) ისაუბრა თუშეთის რეგიონის უნიკალური ღირსშესანიშნაობების და მძიმე საცხოვრებელი პირობების შესახებ. აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელებამდე სოფლების მხოლოდ 1/3 ნაწილს ჰქონდა წვდომა მობილურ კავშირგაბმულობასთან, ხოლო განხორციელებული საპილოტე პროექტის შედეგად რეგიონის უკვე 2/3-ს ინტერნეტი მიეწოდება. ხაზი გაუსვა იმ გამოწვევებს, რომლებიც პროექტის განხორციელების დროს შეიქმნა. ეს იყო ანტენების დამონტაჟების სირთულე საავტომობილო გზის არარსებობის გამო, ასევე აღნიშნა, რომ მათი ორგანიზებით ხდება სარეზერვო ფონდის შექმნა, რათა მოხერხდეს ზამთარში უამინდობის გამო გამოწვეული

შეფერხებების მოგვარება. კრიტიკულ პერიოდად დასახელდა ზამთარი, რადგან სეზონის დახურვის შემდეგ ანტენებთან მისვლა რთული იქნება.

Rati Kochlamazashvili (Tusheti Development Fund, CEO) made a presentation about the unique sightseeings of Tusheti region, noted that mobile network covered only 1/3 before the project and now after the pilot project 2/3 of citizens have the access to the Internet. He underlined the challenges which faced during the project implementation process, one of them was the difficulty of installation of antennas due to the absence of road, also noted that Fund are going to set up the reserve fund in case to avoid delays in the winter due to bad weather.

ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის ფარგლებში, 2017 წლის 12 სექტემბერს, RIPE NCC-სა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც მიმართულია თანამშრომლობის გაღრმავებისკენ და ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზებისკენ. On 17 September, 2017, within the framework of the IGF the Memorandum of Understanding on further development of cooperation was signed between the RIPE NCC and the Georgian National Communications Commission (GNCC).

მეორე სესია: საქართველო და ევროკავშირის ახალი რეგულაციები პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით
Second Session: European New Regulations on Personal Data Protection (GDPR) and Georgia

მოდერატორი: ჯერენ იუნალმა (ინტერნეტ საზოგადოების (ISOC) მენეჯერი - ევროპა) ისაუბრა ახალ გამოწვევებზე, რომელიც მომდევნო წლის დასაწყისიდან ახალი დირექტივის იმპლემენტაციას უკავშირდება პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით და შეეხო რამდენიმე წარმატებულ პრაქტიკას ამ მიმართულებით.

Moderator: **Ms. Ceren Ünal** (Internet Society as the Manager, Chapter Development- Europe) reviewed new challenges, related to the implementation of new directives, in terms of personal data protection and underlined several successful practices.

მომხსენებლები/Speakers:

ანი ნოზაძემ (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის (OPDPI) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი) მოხსენება დაიწყო პერსონალური მონაცემების განმარტებით, რაშიც იგულისხმება ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ, ან იდენტიფიცირებად პირებს. მან ისაუბრა პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობაზე. ანი ნოზაძემ აღნიშნა, რომ საქართველო არის „პერსონალური მონაცემების ავტომატური გზით დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის წევრი და პერსონალურ მონაცემთა დაცვა საქართველოში რეგულირდება 2011 წელს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ მიღებული კანონით, რომელიც ძალაში 2012 წლიდან შევიდა. მან ასევე ისაუბრა ევროპაში პერსონალურ დაცვასთან დაკავშირებული დანერგილი სიახლეების შესახებ. პრეზენტაციაში აღინიშნა მონაცემთა დაცვის შესახებ ევროკავშირის ახალი რეგულაციის GDPR მნიშვნელობა, რომელიც აწესებს პერსონალური მონაცემების დაცვის ერთიან ჩარჩოს ევროკავშირში და ითვალისწინებს მონაცემთა დაცვის კიდევ უფრო მაღალ სტანდარტებს. აქვე დასძინა, რომ აღნიშნული რეგულაცია მოქმედებს არა მხოლოდ ევროკავშირის ფარგლებში, არამედ მის გარეთაც. ქალბატონმა ანი ნოზაძემ, ასევე, ისაუბრა მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის

მნიშვნელობაზე, რომლის შედეგადაც შესაძლოა ინფორმაციის გაჟონვის რისკების შემცირება.

In the beginning of the presentation, **Ms. Ani Nozadze (Office of the Personal Data Protection Inspector (OPDPI) Head of International Relations Department)** defined the meaning of personal data, information connected with an identified or identifiable person. She underlined the importance of data protection. She mentioned that Georgia is a member of the Council of Europe Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data and personal data protection in Georgia is regulated by the Law on Personal Data Protection adopted in 2011 which entered into force in 2012. Ani Nozadze spoke about the novelties in personal data protection implemented in Europe. She also noted the importance of the EU's new data protection regulation (GDPR), which defines the framework for the personal data protection in the EU and introduces higher standards of personal data protection. She also mentioned that the regulation works not only in the EU, but also in the countries outside the EU. She also discussed the importance of data security, which decreases the risks of data breaches.

ნევენა რუსიჩი (ევროსაბჭოს ექსპერტი მონაცემთა დაცვისა და პირადი სივრცის უფლებების სფეროში) საუბრობს მონაცემთა დაცვის მნიშვნელობაზე, რადგან ადამიანებს აქვთ პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის უფლება. მან ახსენა 1991 წელს მონაცემთა დაცვის შესახებ შექმნილი პირველი დოკუმენტი. იმ დროის შემდეგ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ნევენა რუსიჩმა ასევე ისაუბრა ინტერნეტში მომუშავე ბიზნესმენების საჭიროებაზე პერსონალური მონაცემების დაცვაში. მან მოიხსენია კანონმდებლობაში გარკვეული ხარვეზები, რომელთა უგულებელყოფაც მომავალში გარკვეულ პრობლემებს გამოიწვევს.

Nevena Ruzic (Council of Europe expert on data protection and right to privacy) also discusses the importance of the data protection, since people have the right to keep their personal information confidential. She mentioned the first document, protecting personal data created in 1991, and how the importance of the information protection increased over the years. Nevena Ruzic has also mentioned the significance of businesses working within the field. Speaker underlined some of the errors within the legislation, and the problems it might cause in the future.

ნატალია გოდერძიშვილმა (მონაცემთა გაცვლის სააგენტო, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი) თავის პრეზენტაცია დაიწყო საქართველოს მიერ კიბერუსაფრთხოების, პერსონალური მონაცემების დაცვის და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის ბალანსის დამყარების გზებზე საუბრით. იგი ამბობს, რომ თუკი ქვეყანა კიბერუსაფრთხოებაზე ისევე კონცენტრირდება, როგორც სახელმწიფო

უსაფრთხოებაზე, მაშინ იკარგება სრული ბალანსი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ კიბერუსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილება. ნატა გოდერძიშვილმა ასევე ისაუბრა იმაზე, რომ მონაცემთა გაცვლის სააგენტოში საქმიანობს ჯგუფი, რომელიც ეხმარება საზოგადოებას პერსონალური მონაცემების დაცვაში. მის მოხსენებაში მთავარ თეზისად მოიაზრება ის, რომ კიბერუსაფრთხოება და პერსონალური ინფორმაციის დაცვა ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება.

Natalia Goderdzishvili (Data Exchange Agency, Head of Legal Department) started her presentation by discussing the balance between cybersecurity, private data protection and the right of private life. According to her, if the state concentrates on cybersecurity in a same manner as it concentrates on national security, we might lose the balance. Therefore, it is important to draw our attention to cybersecurity. Data Exchange Agency has a team dedicated to personal data protection. One of the main points of the presentation was to underline relations between personal data and cybersecurity, which according to her, do not contradict each other.

გიორგი ბერაია (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), კანონის უზენაესობის მიმართულების უფროსი) თავის მოხსენიებას იწყებს პირადი ცხოვრებისა და გამოხატვის თავისუფლების დაბალანსების მნიშვნელოვნებაზე საუბრით. მან გაიხსენა ერთ-ერთი ბოლო მაგალითი საკუთარი პრაქტიკიდან, რომელიც ეხებოდა სასამართლო გადაწყვეტილების გამჭვირვალობას. მისი აზრით, როდესაც საქმე ეხება საზოგადოების მაღალი ინტერესის გამომწვევ პერსონას, სასამართლომ პერსონალური მონაცემების დაცვა უკანა პლანზე უნდა გადაწიოს. გიორგი ბერაიამ ისაუბრა მის მიერ ჩატარებულ ონლაინ კონტენტითან დაკავშირებულ კვლევაზე, რომელმაც აჩვენა რომ მარეგულირებლის აქტი ვერ პასუხობს ადგილობრივი და საერთაშორისო საკონსტიტუციო სტანდარტებს, რომლებიც დაწესებულია ადამიანის უფლებების სამართალში.

Giorgi Beraia (Institute for Development of Freedom of Information, head Rule of Law governance) starts his presentation with discussing the extreme importance of balancing self expression and private life . He recalled one of the incident from his practice, concerning the transparency of the judicial system. According to the presentation, when there is a case of high public interest, personal data protection should have less significance. Mr. Beraia discussed the study about the online content, which showed that regulatory act does not respond local and international standards, established by the human rights legislation.

ანა კაპანაძემ (შპს 'Privacy Logic Group', დირექტორი) ისაუბრა ევროკავშირის GDPR-ის ცვლილებებზე, რომლებიცაა თანხმობა, დავიწყების უფლება, მონაცემთა გაჟონვის შესახებ შეტყობინებების გაგზავნა, privacy by design, მონაცემთა დაცვის შიდა ოფიცრის არსებობის და ჯარიმების შესახებ.

Ana Kapanadze(Ltd 'Privacy Logic Group', Director) discussed changes and ammendments by the EU's GDPR, such as concent, right to be forgotten, data breach notifications, privacy by design, data protecton officer and penalties.

ინტერნეტის არასწორი გამოყენება - „Fake News"-ის და პროპაგანდის გამოწვევები საქართველოში

The Use and Abuse of Internet - Fake News and Propaganda Challenges for Georgia

მოდერატორი: **ტომას შნაიდერი (ICANN's სახელმწიფო საკონსულტაციო კომიტეტის ელჩი&თავმჯდომარე, შვეიცარიის ფედერალური ოფისი)** საუბრობს "fake news"-ის გავრცელების სწრაფ დინამიკაზე და მათი გავრცელებით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებზე. ბატონი ტომას შნაიდერი ყურადღებას ამახვილებს დღევანდელი საქართველოსთვის ამ კუთხით საჭირო რეგულაციებზე.

Moderator: **Thomas Schneider (Ambassador & Chairman ICANN's Governmental Advisory Committee, Swiss Federal Office of Communication)** talks about rapid dynamics of the fake news spreading and the negative consequences they cause. Mr. Schneider draws attention to the regulations on the aspect that today's Georgia needs.

მომხსენებლები/Speakers:

ნოდარ ტანგიაშვილმა (აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი სახალხო პოლიტიკისა და ანგარიშვალდებულების სფეროში) საუბარი დაიწყო საქართველოში ინტერნეტ მომხმარებლების დიდი რაოდენობის აღნიშვნით, რაც ცხადია „fake news"-ის

გავრცელებას მეტად აჩქარებს და დიდ მასებზე გავრცელებას უწყობს ხელს. ერთ-ერთი ასეთი რესურსი ყველასთვის ცნობილი სოციალური ქსელი facebook-ია. აღნიშნულ პლატფორმაზე ხშირად ვრცელდება ცრუ ინფორმაცია, რომელიც მომხმარებელს მუდმივ რეჟიმში მიეწოდება. აქედან გამომდინარე, ბატონი ნოდარ ტანგიაშვილი მოითხოვს საქართველოში გარკვეული რეგულაციების შემოღებას, რომლებიც სწორად ამ „fake news"-ებისგან დაიცავს მოსახლეობას.

Nodar Tangiashvili (Public Policy and Accountability Advisor at East-West Management Institute) began his speech by discussing large number of Internet users in Georgia, which is obviously accelerating the spread of "fake news" and promotes its' distribution of large masses. One of the most commonly used tools is social media, more specifically Facebook. This platform often contains false information that is supplied to customers in a permanent manner. According to the Mr. Tangiashvili, there is a demand to introduce certain regulations in Georgia that will correctly protect the population from these "fake news".

ულიანა ფელშჩუკმა (უკრაინული სატელევიზიო და რადიომაუწყებელთა ეროვნული საბჭოს წევრი) მიმოიხილა ის რეგულაციები, რომელიც მოცემული პერიოდისთვის არის ამოქმედებული უკრაინაში, კერძოდ, საუბარი შეეხო იმ კონტენტთან წვდომის შეზღუდვას, რომელიც უკავშირდება ინტერნეტის მეშვეობით პროპაგანდისტული და არასწორი მონაცემების გავრცელებას. ასევე მან განიხილა უკრაინის შემთხვევაში ვინაა პასუხისმგებელი კონტენტის დაბლოკვაზე ან საერთოდ მის ამოღებაზე და გარკვეული რჩევები მისცა საქართველოს ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.

Uliana Felshchuk (Member of the National Council of Television and Radio Broadcasting of Ukraine) reviewed the regulations that were set in Ukraine in the backdrop of this period, namely the talk of limiting access to the content related to the propaganda and disinformation spreading via Internet. In case of her country she has also talked about responsible entity for blocking or removing the content. At the end of her speech she gave some advices to Georgia.

ალექსანდრე ისავნინმა (დამოუკიდებელი ინტერნეტ მკვლევარი, რუსეთი) პრეზენტაცია დაიწო როსკომნადზორის ფუნქციების განხილვით, რომლებიცაა: რესურსების განაწილება კავშირგაბმულობის სფეროში და სატელეფონო ნუმერაცია. მან განიხილა როსკომნადზორის მიერ ლიცენზიების გაცემის სისტემის ხარვეზები, კერძოდ ის, რომ მედიისთვის საკმარისია საკუთარი თავის მედიად აღიარება, ხოლო რადიო მაუწყებლობისთვის საკმარისია საკუთარ მაუწყებლობაზე ინფორმაციის წარდგენა. ამის

ფონზე საჭირო ხდება ახალგაზრდების უფლებების დაცვა ინტერნეტ და მედია სივრცეში. რუსეთში მიიღეს სხვადასხვა სახის კანონები, რომლებიც კრძალავდნენ ბავშვებში გეი-პროპაგანდას, ნარკოტიკების და თვითმკვლელობის პროპაგანდას, თუმცა ალექსანდრე ისავნინი აღიარებს, რომ დუმამ შეცდომა დაუშვა, რადგან კანონების მიღებისას არ გაითვალისწინა მათი განხორციელების ტექნიკური მხარეები. ასევე მან ისაუბრა სპეციალურ რეესტრებზე, რომლებშიც ბლოგერებს და ონლაინ კინოთეატრებს შეაქვთ ინფორმაცია. ამ შემთხვევაში თუ თქვენ ხართ შუამავალი და არ მოახდინეთ კონკრეტული პირის იდენტიფიცირება, მის მიერ რეესტრში შეტანილ ნებისმიერი სახის ინფორმაციაზე პირადად თქვენ გეკისრებათ პასუხისმგებლობა.

Alexander Isavnin (Independent Internet Researcher, Russia) has started his presentation with a review of Roskomnadzor's functions, which includes distribution of resources in the field of communication and telephone numbering. He reviewed the disadvantages of the license issuance system by the Roskomnadzor, in particular that it is sufficient for the media to recognize itself as media, and for radio broadcasting is enough to present information on its own broadcasting. Against this backdrop it was necessary to protect the rights of young people on the Internet and media space. Russia has adopted various laws that prohibit gay propaganda, drugs and suicide in children, but Alexander admits that Duma made a mistake because the technical side of their implementation didn't take into account the adoption of laws. He also spoke about special registers where bloggers and online cinematographers are reported. If you are an intermediary and you do not identify a particular person, you are responsible for any kind of information entered in the registry.

მარინა ვაშაყმაძემ (ეთიკური ონლაინ მედია VS „ყვითელი მედია", რადიო თავისუფლების თბილისის ბიუროს ხელმძღვანელი უფროსი) მიმოიხილა fake news-ების გავრცელების დინამიკა, კერძოდ, ინტერნეტ სივრცის მეშვეობით მათი ბევრად მარტივად გავრცელების შესაძლებლობა. ისევე როგორც სხვა მომხსენებლები, ის აღიარებს

მოცემულ საკითხში მკაცრი რეგულაციების საჭიროებას, თუმცა ამ პრობლემას უფრო ჟურნალისტური ეთიკის თვალსაზრისით განიხილავს. ასევე მარინა ვაშაყმაძემ ისაუბრა 5W & H სტანდარტზე, ცენზურისა და თვითცენზურის საკითხებზე. მან გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტზეც, რომ სოციალურ მედიაში უნდა იკრძალებოდეს ისეთი ლექსიკის გამოყენება, რომელის გამოყენებაც საიტებზე და ბეჭდურ მედიაში აკრძალულია.

Marina Vashakmadze (Ethical Online Media VS "yellow media", Tbilisi Bureau chief at Radio Free Europe/Radio Liberty) talked about the dynamics of fake news spreading, namely ,the possibility of their simpler circulation by the Internet space. She, as well as other speakers, recognize the need for the strict regulations in this issue, but it is more concerned about the issue of journalistic ethics. She also reviewed 5W & H standard, censorship and self-censorship issues. Ms. Marina drew attention to the fact that social media should be prohibited to use such a vocabulary that is prohibited on websites and printed media.

დომენური სახელების საბაზრო მენეჯმენტი - საქართველოს პერსპექტივები

Domain Names market management - Opportunities for Georgia

მოდერატორი: **დავიდ ბირმანმა (საქართველოს ბანკი, ციფრული მარკეტინგის დეპარტამენტი)** განიხილა ინტერნეტის კუთხით საფასო პოლიტიკა, ასევე ყურადღება გაამახვილა დომენური სახელების გამოყენებისას გასათვალისწინებელ წესებზე. ბოლოს კი საქართველოს ინტერნეტ ბაზარზე არსებულ მონოპოლიასა და მასთან გამკლავების გზებზე ისაუბრა.

Mediator: **Mr. David Birman (Bank of Georgia, Chief Digital Officer)** discussed the pricing policy in the Internet, also highlighted the rules of domain names using. Finally he talked about monopoly on Georgia's Internet market and the ways to deal with it.

მომხსენებლები/Speakers:

სოფიო კიზირია (COO, LLC კავკასუს ონლაინ, უფროსი კომერციული მენეჯერი) საუბრობს კავკასუს ონლაინის გეგმებზე, რომლებიც მოიაზრებენ სისტემის ძირეულ ცვლილებებს და თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლას. მისი თქმით, ცვლილებებისთვის საჭირო იყო სისტემის ავტომატიზაცია და ლიბერალიზაცია, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში აქამდე მსგავსი გამოცდილება არავის ჰქონდა, კავკასუს ონლაინს დასჭირდა საერთაშორისო ტენდერის გამოცხადება გამზადებული პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად. დღეს მათ უკვე ყავთ შერჩეული მომწოდებელი (კომპანია გლობალ არი) და, როგორც ქალბატონმა სოფო კიზირიამ განაცხადა, პრეზენტაციიდან 2 კვირის შემდეგ ისინი გააფორმებენ ხელშეკრულებას და კავკასუს ონლაინი ახალ სისტემაზე გადავა. სისტემა ადინისტრატორს და რეგისტრატორს სხვადასხვა ინტეფეისით უზრუნველყოფს

სოფო კიზირიამ ასევე აღნიშნა კავკასუს ონლაინის მისწრაფება კონკურენტული ბაზრის შექმნისაკენ, ამიტომ იგეგმება რეგისტრარებთან საქმიანი შეხვედრების გამართვა და მათი შეხედულებების გაზიარება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. მან ასევე ისაუბრა საფასო პოლიტიკაზე და აღნიშნა,რომ მისი განსაზღვრა მოხდება გარკვეული ჩარჩოების მიხედვით და, აქედან გამომდინარე, ადმინისტრატორი ყველა რეგისტრატორს თანაბარ პირობებს შესთავაზებს. ყურადღება გამახვილებული იყო იმ ფაქტზეც, რომ ახალი რეგულაციები კავკასუს ონლაინს ოფლაინ რეჟიმიდან ონლაინ რეჟიმში გადაიყვანს, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს ურთიერთობას მასსა და რეგისტრატორებს შორის.

Sophie Kiziria (COO, LLC Caucasus Online, Chief Commercial Officer) discussed the plans of Caucasus Online, which are based on the system's fundamental changes and modern standards. According to her, change and liberalization of the system was necessary, since Georgia has never had any experience in Caucasus online it was necessary to announce an international tender to buy software. Today they have already chosen software vendor

(Global R) and Mrs. Kiziria said they are willing to sign the contract in two weeks after the presentation, so Caucasus Online will move to a new system. The software provides Administrator and the registrar with to different interfaces. Ms. Sophie also pointed out the Caucasus Onlines goals to create a competitive market, so it is planned to hold business meetings with registrars and share their opinions on this issue. She also talked about pricing policy and noted that its determination will be based on ranges and, therefore, the administrator will offer all registrars equal terms. The focus was also on the fact that the new regulations will move Caucasus Online from offline to online mode, which will further simplify the relationship between them and the registrars.

დავით კაპანაძემ (პარტნიორი, იურიდიული ფირმა LPA) ისაუბრა დომეინ სახელის გამოყენებისას გასათვალისწინებელ წესებზე და რეგისტრაციის უფლებამოსილებაში წამოჭრილ პრობლემებზე. 2006 წლის რეგლამენტის ერთადერთი მუხლი განიხილავს დომენური სახელის გამცემის (რეგისტრატორის, ადმინისტრატორის) ვალდებულებებს, რომლებიცაა შეამოწმოს დომენი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: დომენი არ უნდა იყოს დამაბნეველი, არ უნდა ემსახურებოდეს სხვა საიტის გადაფარვას, შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს სახელს და დომენური სახელის ქვეშ არსებულ დაუშვებელ პროდუქციაზე უნდა ხორციელდებოდეს კონტროლი.

David Kapanadze (Partner, legal Firm LPA) talked about the rules which need to be taken into account while using a domain name and the problems raised in the right of registration. Rules discussed in 2016 article the domain name of the issuer (registratorius, administrator) obligations, which examine the domain of the following criteria: the domain name must neither be misleading, nor serve the other site overlays, the content should be consistent with the name and inappropriate products under the name of domain should be controlled.

დუშან სტოჟიჩევიჩმა (დომეინ სახელების სერბეთის ეროვნული დუშან სტოჟიჩევიჩმა (დომეინ სახელების სერბეთის ეროვნული რეგისტრი (RNIDS) საბჭოს მენეჯერი) თავისი საუბრი რუმინეთის მაგალითის განხილვით დაიწყო, სადაც დომეინ სახელის შეძენა და მისი მემკვიდრეობით გადაცემა შესაძლებელია უძრავი ქონების სახით. მისი თქმით, მოცემულ საკითხში საქართველოს მთავარი პრობლემაა მონოპოლია, უფრო დაზუსტებით კი ის ფაქტი, რომ ერთი კერძო კომპანია რეესტრის ადმინისტრატორის და ეგისტრატორის ფუნქციებს ითავებს. დუშან სტოჟიჩევიჩი მიიჩნევს, რომ ეს ფუნქციები განაწილებული უნდა იყოს ორ დამოუკიდებელ დეპარტამენტზე, რომლებსაც კავკასუს ონლაინი გააკონტროლებს. ასევე მან მოუწოდა დომენური სახელების მომხმარებლებს, ექსპერტებს წესების შეცვლისას მეტი

ჩართულობისკენ. იგი მიიჩნევს, რომ ფასის დაწესებისას მეტი აქცენტირება ხელმისწვდომობაზე უნდა ხდებოდეს. დუშან სტოჟიჩევიჩი აღნიშნავს, რომ ccTLD- ში ხელისუფლების მაღალი დონის ჩართულობა არ არის სასურველი, რადგან ის დომეინ სახელების თვითრეგულირებაზე არ ფლობს სრულ ინფორმაციას და გამოცდილებას. ასევე აღნიშნავს, რომ მომხმარებლები, რეგისტრანტები მოიაზრებიან კავკასუს ონლაინის შუამავლებად, ამიტომ მათ უნდა მისცენ გარკვეული შენიშვნები, რათა სისტემა მეტად დაიხვეწოს და ყველასათვის მისაღები გახდეს.

Mr. Dusan Stojicevic (The Serbian National Register of Internet Domain Names (RNIDS) Manager of the Board) started the presentation by reversing Romanian experience, where buying and transferring domain names was possible as a property. According to him, monopoly is one of the major problems for Georgia, more specifically the fact that one private company adopts the role the registry and registrant. Mr.Stojicevic assumes that the given functions should be divided between two departments, which should be controlled by Caucasus Online, in order to promote free business environment. He has also addressed domain name users, experts fore more involvement in the process of changing. Mr. Stojicevic noted that while establishing prices, we should consider not only prices, but also accessibility. High level of government involvement in the ccTLD processes is also not recommended, since they do not have enough expertise in this field. He notes that users, registrants are considered to be mediators of the Caucasus Online, therefore they should give particular notes, in order to improve and develop system. order to improve and develop system.

კონკურენციის რეგულირება საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე - ინტერნეტის განვითარებისთვის არსებული დაბრკოლებები Competition and Regulations of Telecommunication Market of Georgia – Bottlenecks against development of Internet

მოდერატორი: **რამაზ ქვათაძე,** CEO, საქართველოს სამეცნიერო საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია (GRENA)
Moderator: **Ramaz Kvatadze,** CEO, Georgian Research and Educational Networking Association (GRENA).

მომხსენებლები/Speakers:

პროფესორი მაიკლ როტერტი (DE-CIX) მოკლედ შეეხო იმ რეგულაციებს და რეკომენდაციებს, რომლებიც მოქმედებს ევროპის კავშირის წევრი ქვეყნებისთვის. ასევე მან განიხილა ის ვალდებულებები, რომლებიც უწესდებათ ე.წ ინტერმიდიარი ანუ „შუამავალ“ ოპერატორებს. ბოლოს პროფესორმა როტერტმა მიმოიხილა საუკეთესო

და ნაკლებად წარმატებული იმპლემენტაციის მოდელები.

Prof. Michael Rotert (ECO) briefly touched on the regulations and recommendations applicable to the members of The European Union. He also talked about the obligations imposed on the intermediary operators. At the end Prof. Rotert reviewed the best and least successful implementation models.

გიორგი გოთოშია (თავმჯდომარე, Georgian IXP) პრეზენტაციას იწყებს საქართველოს პირობებში ლოკალური და გლობალური ინტერნეტის განხილვით. მისი თქმით, ლოკალური ოპერატორები ამჟამად ყოველწლიურად საერთაშორისო ოპერატორებისგან 240 გიგაბიტის სიჩქარის ინტერნეტ რესურს ყიდულობენ, რომელიც მხოლოდ მოსახლეობის ბრაუზინგს ყოფნის, აქედან გამომდინარე ჩნდება პრობლემა,რომელსაც ორი სავარაუდო ვარიანტი აქვს. პირველი გულისხმობს იმ ფაქტს, რომ რეგიონი არ არის საინტერესო უცხოელი ოპერატორებისთვის, სხვა შემთხვევაში შიდა ბაზარზე გვაქვს მონოპოლია. ბატონმა გიორგი გოთოშიამ მოცემული პრობლემის გადაწყვეტისთვის საქართველოში მონაცემთ დამუშავების ცენტრების დიდი ოპერატორების დაარსება შემოგვთავაზა, რომლებიც ასეულობით გიგაბიტის რესურს

შეიძენენ და შესაბამისად ოპერატორების შემოსავალიც მნიშვნელოვნად გაიზრდება.

Giorgi Gotoshia (Chairman, Georgian IXP) started his presentation by reviewing Georgia's local and global Internet. According to him, local operators annually buy 240 Gbpsb bandwidth from international operators, which is just enough for population's browsing and is actually very small. Therefore, there is a problem that has two probable answers. The firstly, region is not interesting for the foreign operators, secondly there is a monopoly on the domestic market. Mr. Giorgi Gotoshia has offered to create bigger operators in Georgia to solve this problem, bigger company would acquire hundreds of Gigabytes, thus significantly increase operators' revenue ..

Giorgi Gotoshia (Chairman, Georgian IXP) started his presentation by reviewing Georgia's local and global Internet. According to him, local operators annually buy 240 GB/sec resource from international operators, which is just enough for population's browsing and is actually very small. Therefore, there is a problem that has two probable answers. The firstly, region is not interesting for the foreign operators, secondly there is a monopoly on the domestic market. Mr. Giorgi Gotoshia has offered to create bigger operators in Georgia to solve this problem, bigger company would acquire hundreds of Gigabytes, thus significantly increase operators' revenue.

ვაჰან ჰოვსეფიანი (RIPE NCC, საგარეო ურთიერთობების ოფისი, კავკასია და ცენტრალური აზია) საუბრობს საქართველოს მთავრობის დაინტერესებით კერძო კონპანიების მიერ exchange–ის გახსნაში . მისი თქმით, ფასზე ყურადღების გამახვილება არ არის მნიშვნელოვანი, რადგან ამ ეტაპზე საუბარია "ადამიანურ" ინტერნეტზე , თუმცა

უახლოეს მომავალში წინა პლანზე წამოიწევა ე.წ. "ნივთების ინტერნეტი" (IoT). საქართველოს მთავარ მიზანს სწორად ნივთების ინტერნეტის პირობებში დიდი მოცულობის ტრაფიკის მიმოქცევის გამკლავება წარმოადგენს. ამისათვის, ბატონი ვაჰან ჰოვსეფიანის თქმით, საჭიროა რეიტინგების ამაღლება და ოთხვარსკვლავიანი შეფასების ნაცვლად, სრულად ხუთი ვარსკვლავის მიღება. ბოლოს მან აღნიშნა, რომ მეზობელი სომხეთი მაქსიმალურად დაგვეხმარება მიზნის მიღწევაში, რაც არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ სრულიად კავკასიის რეგიონისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

Vahan Hovsepyan (RIPE NCC, External Relations Office, Caucasus and Central Asia) speaks about the Georgian Government's interest in the private companies to open exchange. According to him, we shouldn't pay so much attention to the price, because at this stage it is talking about "human" Internet, but in the nearest future "Internet of Things" (IoT) will be placed to the foreground. The main objective of Georgia is to deal with the circulation of large amounts of data in the Internet. To do this, Mr. Vahan said that it is necessary to increase ratings and get five stars instead of four-star evaluation. Finally, he noted that neighboring Armenia will help us to achieve the goal, which is important not only for Georgia but for the whole Caucasus region.

დავით გოგიჩაიშვილმა (სატელეკომუნიკაციო ბაზრების რეგულირების დეპარტამენტის უფროსი GNCC) მიმოიხილა საქართველოს ბაზარზე არსებული კონკურენტული მდგომარეობა, მისი თქმით, ე.წ. wi-fi ოპერატორები ძირითადი ოპერატორების კონკურენტები კი არა, არამედ მათი „შემავსებლები" არიან. აღნიშნული ოპერატორების წილი წინა წელთან შედარებით 18%-ით გაიზარდა და ეს რიცხვი კიდევ უფრო იმატებს. მან ასევე ისაუბრა ინტერნეტთან დაკავშირებით გარკვეულ სტატისტიკურ მონაცემებზე და ხაზი გაუსვა რეგიონებში მოსახლეობის დაბალსიჩქარიანი ინტერნეტით დაინტერესებას, რაც განპირობებულია მისი ხელმისაწვდომობით. იმის მიუხედავად, რომ ბაზარზე არსებული მაღალი ფასები უნდა ასტიმულირებდნენ ახალ პროვაიდერებს ბაზარზე შესასვლელად, ან არსებულ პროვაიდერების სამოქმედო არეალის გაფართოებას, 2016 წლის მონაცემებით მოცემულ საკითხში ცვლილებები არ აღინიშნება. ეს ფაქტი კი მიუთითებს ქართულ ბაზარზე სხვა დაბრკოლებების არსებობაზე, შესაბამისად, კონკურენციის ასამაღლებლად მხოლოდ ფასის არ არის საკმარისი. ბატონმა დავით გოგიჩაიშვილმა ასევე ისაუბრა 2014 წლის შემდეგ ქართული ინტერნეტ პროვაიდერების მიერ დაწესებული ფასების ცვლილებებზე.

David Gogichaishvili (Head of Telecom Markets Regulation Department at GNCC) discussed the competitive state on the Georgian market, saying that the wifi operators are not the competitors for the network operators, they are more of a gap filler. The share of these operators has increased by 18% compared to the previous year and this number keeps increasing. He also spoke

about certain statistical data on the Internet and noted that the population in the regions has a high-speed Internet, which is related with price affordability.

Despite the high retail price there is no newcomers on the Internet market, according to data on 2016. It is a fact that there are other obstacles in the Georgian market and the high price is not enough to increase the competition. Mr. David also talked about the changes of the relatil prices set by Georgian Internet providers after 2014.

უსაფრთხო ინტერნეტი და ახალგაზრდობა
Safe Internet and Youth

მოდერატორი: **გიგა პაიჭაძე**, ინტერნეტმმართველობის ერთეულის უფროსი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

derator: **Giga Paichadze**, Head of eGovernance Unit, Administration of the Government of Georgia

მომხსენებლები/Speakers: **დიმიტრი ხუნდაძემ (პარლამენტის წევრი)** ისაუბრა საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სახელით. მის პრეზენტაციაში მთავარ საკითხს არასრულწლოვანი ინტერნეტ მომხმარებლის დაცვა წარმოადგენდა. იგი მოიხსენიებს თანამედროვე ინტერნეტ საფრთხეებს, კერძოდ, ძალადობის ამსახველი კადრებს, პორნოგრაფიულ სცენების, ქსელურ თამაშებს, უცენზურო ლექსიკის შემცველ კონტენტს. კვლევების შედეგად, 8-16 წლის ბავშვები ხშირად ხდებიან აკრძალული საიტების მომხმარებლები. დიმიტრი ხუნდაძის თქმით, ზემოხსენებული ცუდ გავლენას ახდენს ახალგაზრდის ჯერ კიდევ არამყარ ფიზიკურ და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. სწორედ ამიტომ საჭიროა ახალი რეგულაციების შემოღება, რომლებიც მათ ასეთი ნეგატიური ზეგავლენისგან დაიცავს. იგი საუბრობს შემუშავების პროცესში მყოფ კანონპროექტზე, რომლის წარდგენა პარლამენტში 2017 წლის შემოდგომაზე იგეგმება. ეს კანონპროექტი გაითვალისწინებს იმ წესების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვების უსაფრთხოებას ინტერნეტ სივრცის ფარგლებში. მან ასევე ევროპის მაგალითი აღნიშნა, სადაც პროვაიდერებს ეკისრებათ ვალდებულება გარკვეული ფილტრების დაყენებაზე. ასევე ისაუბრა გერმანიაზე, სადაც აკრძალული კონტენტის განზრახ გავრცელების შემთხვევაში ადამიანს ეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ბატონი დიმიტრი ხუნდაძე საუბრობს სამომავლო გეგმებზე პროვაიდერების მიერ გარკვეული ფილტრების დაწესებაზე,სადაც წვდომა მხოლოდ უფროსებს ექნებათ და ისინი თავად გადაწყვეტენ თუ რა სახის კონტენტის ჩვენება სურთ საკუთარი შვილებისთვის.

Dimitri Khundadze (Member of the Parliament of Georgia) spoke on a behalf of the Committee on Health and Social Issues of the Parliament of Georgia, the main issue in the presentation was minors' Internet user protection. It refers to

the modern Internet threats faced by children. Specifically, the presence of videos featuring violence, content of pornographic scenes, gambling games, content containing a inappropriate vocabulary. As a result of studies, children of 8-16 years often become users of prohibited websites. According to Dimitri, the above mentioned is a very bad influence on the young and still physical and moral conditions. That is why it is necessary to introduce new regulations that protect them from such negative impacts. He speaks about the draft law on the development process, which is planned to be submitted by the parliament in autumn 2017. This bill will take a set of rules that ensure the safety of children within the Internet space into account. He also pointed out a European example where the providers are bound to commit certain filters and spoke about Germany, where in case of deliberate dissemination of prohibited content, a person is subject to criminal liability. Mr. Dimitri speaks about providers future plans to set certain filters that will have access to only adults and they will decide what kind of content they want to show for their children.

თამარ ტეფნაძემ (მომხმარებელთა დაცვის სახალხო დამცველი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია) პრეზენტაციაში წარადგინა დღევანდელ საქართველოში მოქმედი არასრულწლოვნებთან დაკავშირებული რეგულაციები, რომლებიც, მისი თქმით, საჭიროებენ დახვეწას და თანამედროვე სტანდარტებზე მორგებას. სწორედ ამ ცვლილებების პროცესში მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურთან ერთად მონაწილეობას იღებენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და ევროკავშირის ტვინინგის პროექტი. ქალბატონმა თამარ ტეფნაძემ დასძინა, რომ ბოლო რეგულაციები 2006 წელს იქნა მიღებული და ამ რეგულაციებში ყურადღება გაამახვილა არასრულწლოვანი ინტერნეტ მომხმარებლის უფლებების დაცვაზე. მან ისაუბრა მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების ვალდებულებებზე , რომლებიც შემდეგ პუნქტებს მოიცავს: შეზღუდული დაშვების მექანიზმების უზრუნველყოფა, დაუშვებელი პროდუქციის აღმოფხვრის უზრუნველყოფა, ქსელის ინტეგრაციის დაცვა, მომხმარებლის (უფროსის) უზრუნველყოფა საფილტრო პროგრამით. **Tamar Tepnadze (Public Defender of Consumers Interests, Georgian National Communications Commission)** presented the regulations concerning juveniles acting in Georgia today, according to her adolescent need to improve and adjust to modern standards. In the course of these amendments, the Georgian National Communications Commission and the EU Twinning Project will take part together with the Public Defender's Office of Customers' Interests. Tamar Tepnadze added that the latest regulations were adopted in 2006 and in these regulations focused on the protection of juvenile Internet users rights. She talked about the obligations of service provider companies that include the following components: Ensuring Limited Access Mechanisms, Ensuring Elimination of Unauthorized Products, Network Integration Protection, Customer (adult) Provision of Firewall.

ფორუმის დახურვის სესიაში მონაწილეობდა ქ-ნი ლეილა მარშანია ევროპის საბჭოს მედია პროგრამის ხელმძღვანელი Ms, Leila Marshania, Program Manager at Council of Europe, Stasburg, France, ასევე პროფესორი როტერტი და ალექსანდრა კულიკოვა ICANN-დან. On the closing sesson was done by Leila marshania, Ms. Ms. Prof. Rotert (ECO) and Alexandra Kulikova(ICANN).

დახურვის ცერემონიალის პარალელურად 72 დარეგისტრირებული მოხალისიდან შერჩეულმა 15-მა მოხალისემ მიიღო მონაწილეობის და ჩართულობის სერტიფიკატი. On closing session Georgian IG forum Coordinator Ucha Seturi granted certificates of participation to the valunters.

დ) მონაწილეების და ჩართულობის ანალიზი და განაწილება დაინტერესებული ჯგუფების, გენდერულ და ასაკობრივ ჯგუფში

ფორუმში მონაწილეობის რეგისტრაცია გაიარა 336-მა მსურველმა, საიდანაც მონაწილეობა მიიღო ჯამში 242-მა მონაწილემ. დაინტერესებული ჯგუფების ჭრილში ეს მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

Chart of the stakeholderal groups.



გენდერულ ჭრილში მონაწილეების მონაცემები :

Gender info of partisipants:



თითოეულ პანელზე წარმოდგენილი გენდერული ბალანსი:

The gender balance on the panels:



Participants 242 (Overall)
Day 1 – 118
Day 2 – 184



ღონისძიების ბიუჯეტი

Budget of the event

საორგანიზაციო აქტივობები შესაძლოა დავყოთ რამდენიმე ძირითად მიმართულებად, რომლის დაფინანსება მოხდა როგორც დონორების დახმარებით, ასევე ინტერნეტმმართველობის ფორუმის წევრი და ლოკალური მხარდაჭერების მიერ.

We can start evaluation of organizational activities by discussing several basic directions, which were founded by various donors, also by the members and local supporters of the IGF.

ეს აქტივობები შესაძლოა დავყოთ შემდეგ ჯგუფებად:

The activities could be divided into the following groups:

- ღონისძიების წინა მოსამზადებელი სამუშაოები (წევრების და საბჭოს წევრების შეხვედრები, არჩევნები, პროგრამის დამტკიცება და კონსულტაციები სხვა მხარდამჭერებთან);
  Pre-event activities (meetings of the members and council members, elections, the approval of the program and consultations with other supporters)
- ინტერნეტ გვერდის და სოციალური ქსელების მომზადება და გაშვება, სხვა დაკავშირებული აქტივობები (დომენი, ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის გვერდების შემქნა და ადმინისტრირება);
  Preparation and launch of the Internet pages and social networks, other related activities (creating and administration of the domain, the web-site and the social network);
- ბრენდინგთან დაკავშირებული აქტივობები (ფორუმის და სხვა საბეჭდი მასალების ფერის, ლოგოს შემქნა და ინტეგრირება);
  Activities related to branding (creating the colour of the Forum and printable materials,the design and integration of the logo);
- საორგანიზაციო ფართის მომზადების სამუშაოები (დარბაზი, ეკრანი, პროექტორი და ა.შ.);
  The organizational space planning (hall, screen, projector and etc.)
- კვება და ვახშამი;
  The alimatation and the dinner;
- ბეჭდვითი საქმიანობა (მოსაწვევი, ბეიჯი, დღის წესრიგი, პრეს ბანერები და საიმიჯო ბანერი);
  Printing activity (invitation cards,badge, the agenda, press banners and banners);
- მედია მხარდაჭერა (ონლაინ ტრანსლირება);
  The media support (online broadcasting);

- სოციალური ღონისძიება (ექსკურსია ქალაქ თბილისში და მცხეთაში);
  Social event (excursion to Tbilisi and Mtskheta);
- სატრანსპორტო მომსახურება და ტრანსფერები (საკონფერენციო სივრცეში დარბაზიდან).
  The transport services and the transfers (from the hall to the conference space).

Budget/ბუჯეტი

აქტივობები Activity		მხარდაჭერა Supporter	ბიუჯეტი/USD
კონფერენციის ადგილი/ Conference venue and related activities	რედისონ ბლუ ივერია, კეიტერინგის სერვისები და შესაბამისი აღჭურვილობა/ Radisson Blue Iveria, Catering Interpretation შესაბამისი აღჭურვილობა/ Appropriate equipment's and translation	CoE	N/A
სამოგზაურო მხარდაჭერა/ Travelling support		CoE ISOC RIPE NCC ICANN	2900
ონლაინ მხარდაჭერა/ Online support	preparation of web and social media pages/ ინტერნეტ გვერდის და სოციალური ქსელების მომზადება და ადმინისტრირება	IGFSA RIPE NCC ICANN	300
ადგილზე მხარდაჭერა/ On site support	live stream Camera, Live stream team, ინტერაქცია, ონლაინ ჩართულობის მხარდაჭერა	IGFSA RIPE NCC	800

		ICANN	
პიარი და მედია მხარდაჭერა/PR and media Support	ფოტოგრაფი, ვიდეო გადაღება, კომუნიკაციის და პიარ მენეჯერი/ Photographer and Camera operator, video clip, Communications and PR manager	IGFSA RIPE NCC ICANN	1100
ბრენდინგი/branding	ბანერები, ბეიჯი, ლენტები, დღის წესრიგი/ banngers, bedges, agenda	RIPE NCC IGFSA	1500
გალა ვახშამი/Gala Dinner		ISOC	6 300
სოციალური ღონისძიება, 13 სექტემბერი/Social Event 13 of September	City tour , transportation, dinner for speakers and partisipants	LTD "SystemNET"	950
სხვა ხარჯები Other expenses	Accountant, report translation and editing and etc.		550
TOT			14 400

მედია დაფარვა:

Media Coverage:

- https://www.radiotavisupleba.ge/a/mmartvelobis-forumi/28723659.html
- http://netgazeti.ge/news/219731/
- https://imedinews.ge/ge/teqnologiebi/27042/tbilisshi-internetmmartvelobis-rigit-mesame-porumi-gaikhsna
- http://georgia.shafaqna.com/GE/GE/147005
- http://1tv.ge/ge/news/view/178509.html
- http://epn.ge/?id=51653
- http://ghn.ge/com/news/view/185754
- http://www.newposts.ge/?l=G&id=150856-%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98,%20%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AB%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90
- http://www.ipress.ge/new/84639-saqartvelo-internetmmartvelobis-masshtabur-forums-GEOIGF-2017-maspindzlobs
- http://ibusiness.ge/new/8841-saqartvelo-internetmmartvelobis-masshtabur-forums-GEOIGF-2017-maspindzlobs
- http://www.commersant.ge/?view=post&id=131424&lang_id=ge
- http://kvira.ge/350371
- https://pia.ge/post/148864-tbilissi-internetmmartvelobis-rigit-mesame-forumi-mimdinareobs

ვიდეოლინკები:

Video Links

საიმიჯო ვიდეორგოლი:

Image Videos:

https://www.youtube.com/watch?v=vddY5tMuPaU&feature=youtu.be

- https://we.tl/QRlaqmudGt/
- http://radio1.ge/ge/videos/view/188304.html

- https://www.youtube.com/watch?v=Vq7gy5ZTfgE&t=8s
- https://www.youtube.com/watch?v=eMneevfTaKk&t=2s
- https://www.youtube.com/watch?v=m-LIDXM_6Z4
- https://www.youtube.com/watch?v=dXXuD5Jjygw&feature=youtu.be
- https://www.youtube.com/watch?v=r0VWrL0sNOk&feature=youtu.be
- https://www.youtube.com/watch?v=lIIoZ1Zg5l8&feature=youtu.be
- https://www.youtube.com/watch?v=ihnQGK1nJRg&feature=youtu.be

სპეციალური მადლობა GeoIGF 2017-ის
მხარდამჭერებს
Special Thanks to the supporters of the GeoIGF 2017